

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანი ხაჩიძე

საბანკო საკრედიტო პროდუქტების თავისებურებები და მათი სრულყოფის
მიმართულებები

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი

/რ.ზურდიაშვილი/

რეცენზენტები _____

დაცვა შედგება 2020 წლის ” ____ ” ივლისს, ___ საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო
მმართველობისა და მენეჯმენტის“ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი VI, აუდიტორია -----,

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - ფაკულტეტის ვებ-
გვერდზე (www.gtu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

პროფესორი

/ლ. კოჭლამაზაშვილი/

Abstract

The dissertation is divided into 3 sections (8 sub-sections).

The paper presents in detail the history of the origin of the banking system. How the banking system was formed and how it changed over the years. It shows the way to its development and the transformation of the banking sector over time with the change of history. The stages of the functioning of the modern banking system of Georgia are shown. The banking structure is also briefly shown.

Georgia has experienced significant economic fluctuations in the market, driven by competition and political change. Against the background of all this, the number of financial institutions has decreased and significant changes have taken place in banking products and their peculiarities. The result of these changes is that today there are only 16 banks in the Georgian market, of which the first two places are occupied by JSC TBC Bank and JSC Bank of Georgia.

Recommendations for the use of the credit product will be provided and the attention to detail will be based on the data of these two giant banks. Due to the modern and familiar reality, other services and services besides bank credit products have been shown, which clearly shows how much space the banking sector has for the development of the country's economy. All the necessary words of banking terminology are explained to the users, which may be useful for you when using a loan.

Each bank credit product is presented and their detailed characteristics are listed. An in-depth study of credit products provides an explanation of the interest rate types. Variable interest loan, fixed and libor. Also, the most well-known term today is the definition of the exact value of the effective rate and the representation of its value.

Since the National Bank is considered to be the largest regulatory body, the regulations and programs introduced by the National Bank in a crisis situation are shown. The most striking ratios are shown in detail, which is reflected in the volume of credit. The results of the introduction of the new regulations are also

shown, and the expected opinion of the population before the new regulations was annulled.

For potential customers, a detailed recommendation will be made about what and when to pay attention to. Examples will be given of how unscrupulous clients try to deceive bank employees and the bank. There are also real examples of what most people do when they want to take out a loan and how much risk a bank employee takes every day. It explains how the bank tries to insure itself against fraud and what programs it uses to do so. Modern approaches from both the bank and consumers will be presented. A detailed example shows how a customer or bank is trying to find ways to bypass new regulations and in which case it will come out and in which case it will not. Here are some suggestions on how to look or get an appointment for acne treatment.

It is unthinkable in the paper not to focus on the current global crisis situation caused by the world pandemic Coronavirus. Of course, just like the rest of the world, Georgia has to function in terms of economy and think about how to survive the chaos and devastating reality caused by the pandemic. The National Bank, along with the government, has made significant concessions to the virus, with clear explanations for the current developments. It is necessary to pay attention to this issue, because the majority of the population has incorrect information about the deferral of loans under the conditions of economy. The functioning of the banking sector at this time and the impact of Corona on business activities are discussed.

My views on the ways and directions of the expected development of the banking credit sector are outlined. Here is a real-life example of what kind of service and banking can be switched to in today's banking system. The main recommendation is what modern youth needs and the difficulties that a bank employee has to deal with.

The main purpose of the paper is to objectively, without any hidden thought or expectation of profit, to provide accurate and comprehensible information and

views. Better understanding of information and awareness through examples and tables. As well as the way in which the banking sector and credit products should be developed in order to perfect them.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

მოთხოვნა საკრედიტო პროდუქტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ, რომელიც დაგვეხმარება დროის დაზოგვაში, დღითიდღე ვითარდება. სწორედ ამიტომ საკმაოდ აქტუალურია დღეს საბანკო სფერო და მითუმეტეს საკრედიტო პროდუქტები. ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს სესხით, რაც ექვივარეშეა, რომ წარმოშობს აუცილებლობას საბანკო საკრედიტო პროდუქტების სრულყოფისა და იმისა, რომ ადამიანი უნდა ფლობდეს შეუნიღბავ და რეალურ ინფორმაციას თითოეული პროდუქტის შესახებ იმისათვის, რომ უკეთ განსაზღვროს სჭირდება თუ არა სესხით სარგებლობა და თუკი ეს აუცილებელია - ზუსტად განსაზღვროს რომელი პროდუქტი შეესაბამება და მოერგება მის საჭიროებას.

როგორც მოგეხსენებათ, ბანკის თანამშრომელს აქვს მისი სამუშაო გეგმა და ის მიზანი, რომელიც უნდა შეასრულოს ყოველთვიურად. შესაბამისად თუკი ბანკს მიმართავს გამოუცდელი ადამიანი, რომელმაც ზუსტად არ იცის, თუ რითი სარგებლობა სურს, საკმაოდ მარტივია კლიენტს შევთავაზოთ ის პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება მის საჭიროებას.

ინფორმაციის სიმცირე მოსახლეობაში კიდევ იწვევს იმ შედეგს, რომ უამრავი ადამიანი არის, რომელსაც ისტორია გაფუჭებული აქვს და ვერ აანალიზებს იმას, თუ რა შედეგს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუკი ვერ შეძლებს კრედიტის დაფარვას. შესაძლოა დღეს მსუბუქად აღვიქვავდეთ მდგომარეობას და ვერ ვაანალიზებდეთ, თუ რამდენად საჭიროა სუფთა საკრედიტო ისტორია. დღეს გადადგმული არასწორი და გაუაზრებელი

ნაბიჯი მომავალში საკმაოდ შეგვიშლის ხელს იმისათვის, რომ ნამდვილი საჭიროების დროს ავიღოთ კრედიტი.

კვლევის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ამაღლდეს ცნობიერება საბანკო საკრედიტო პროდუქტებთან მიმართებაში და ზოგადად კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის ფუნქციონირებაში. მოსახლეობა აუცილებლად უნდა ფლობდეს სწორ, შეუნიღბავ და რეალურ სურათს საკრედიტო პროდუქტების შესახებ. რადგან ცოდნა ძალაა, თავისუფლად შეგვიძლია ჩვენთვის მაქსიმალურად დადებითად და მომგებიანად წარვმართოთ ჩვენი და ბანკის ურთიერთობა. ქვეყანაში არსებული ნებისმიერი პრობლემა, იქნება ეს მოსახლეობის ჭარბვალიანობა, თუ საბანკო სექტორში დიდი პორტფელი პრობლემური სესხებისა, გამოწვეულია იქიდან, რომ მოსახლეობა გაუაზრებლად და გაუცნობიერებლად მიმართავს საბანკო სექტორსა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კრედიტის მოთხოვნით.

კვლევის საგანს და ობიექტს პირველ რიგში წარმოადგენს კომერციული ბანკები. შესწავლილია მათ შორის უდიდესი და უმცირესი მოგების მაჩვენებლები. ყველა ბანკი ფლობს ერთნაირ საკრედიტო პროდუქტს, შესაბამისად განხილულია მათი დამახასიათებელი პროდუქტები და დეტალურადაა გადმოცემული თვისებები და თავისებურებები. დეტალურად და გასაგები ენით არის აღწერილი, თუ რა ზემოქმედებს საკრედიტო პროდუქტებზე. განხილული და ახსნილია ყველა საჭირო ტერმინი და მომსახურება, რასთანაც შესაძლოა შეხება გვექონდეს, თუკი გადავწყვეტთ კრედიტით სარგებლობას. საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები ეროვნული ბანკის როლი საბანკო სფეროს ფუნქციონირებაში. რომ არა ეროვნული ბანკი, ქვეყანაში იქნებოდა მონოპოლია და ბანკები იმოქმედებდნენ ისე, როგორც თვითონ მოისურვებდნენ. მონოპოლიას კი შექმნიდა 2 ყველაზე გამორჩეული ბანკი - სს“თიბისი ბანკი“ და სს“საქართველოს ბანკი“. შესაბამისად ერთადერთი ბერკეტი მათთვის არის ეროვნული ბანკი.

ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული სიახლეები. უმრავლესობა ბანკს აღიქვავს, როგორც უხეშად რომ ითქვას „მევახშეს“, რომლის ერთადერთი მიზანი და საზრუნავი არის კრედიტის გაცემა იმისათვის, რომ მიიღოს მოგება. სხვა ყველაფერი თითქოს მათთვის არაფერს არ ნიშნავს. ეს ასე არაა. გასათვალისწინებელია ორი გიგანტი ბანკის ნაწილი საქმეები, რაც უმრავლესობამ არ იცის. რეალურად საბანკო სფერო კიდევ ბევრად მეტს აკეთებს, ვიდრე ნაშრომშია ნაჩვენები. ნაჩვენებია სოციალური პასუხისმგებლობის რამდენიმე მაგალითი: საბა, სეკრეტ სანტა, თიბისი ფონდი, დაზღვევა და უამრავი სხვა. საბანკო სფერო არის ერთ-ერთი ყველა დიდი დამსაქმებელი ქვეყნის მოსახლეობისა. მხოლოდ სს „თიბისი ბანკსა“ და სს „საქართველოს ბანკში“ დასაქმებულია მინიმუმ 7000-7000 ადამიანი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მათგანი თანამშრომლებს უზრუნველყოფს დაზღვევითა და სხვა უპირატესობებით. შესაბამისად ბანკებს იმაზე დიდი წვლილი შეაქვთ ყველანაირ საქმეში, ვიდრე წარმოგვიდგენია. საბანკო სფეროების დახმარებით ფუნქციონირებს სახელმწიფო ისე, როგორ საჭიროა. რომ არა საბანკო სფერო, მოსახლეობის მდგომარეობა იქნებოდა ბევრად უფრო მძიმე. ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

- საბანკო სისტემაში არსებული საკრედიტო პროდუქტების სიღრმისეული გამოკვლევის შედეგად შემუშავებულია მათი სრულყოფისათვის საჭირო გზები.
- სახელმწიფო რეგულაციებზე დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას უკავია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში,
- დასაბუთებულია, რომ საბანკო სისტემის მომხმარებლების უსაფრთხო და გამჭირვალე გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინფორმაციის ზუსტად გაცემა და მსესხებელთა ცოდნის დონის ამაღლება.
- დადგენილია, რომ სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ჰარმონიული ურთიერთობით.

რაც შეეხება ნაშრომში კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს. ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბანკო სფეროს შიდა რეგულირებაზე უცხოელი და ქართველი მეცნიერების საფუძვლიანი გამოკვლევები. მრავალი მკვლევარის ლოგიკური და ანალიზური კვლევები. საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფოს სტატისტიკური მონაცემები.

კვლევების მხრივ ნაშრომში გამოყენებულია ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკურ-სტატისტიკური, დაკვირვება-შეფასების მეთოდი და სხვა მეთოდები.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს მოსახლეობის ცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლება. საჭიროა რომ თითოეულ პიროვნებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია მისთვის საჭირო საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომის მთავარი მნიშვნელობა არის მოსახლეობის ფინანსური განათლების პროცესის ხელშეწყობა.

სამუშაოს შედეგის რეალიზება იქნება ის, რომ მოსახლეობას აუმაღლდება ინფორმაციული დონე, რასაც გამოიყენებს შემდეგში სასურველი შედეგის მისაღებად.

სამუშაოს აპრობაცია მოხდა 3 სტატიაში, რომელიც ნაშრომის შემადგენელი ნაწილია. ასევე გაკეთდა მოხსენება სტუ-ს IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება 127 გვერდისაგან და შეიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, სამ თავს (8 ქვეთავს), დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში განხილული და დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, სადაც დასაბუთებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკის

განვითარებისთვის აუცილებელია საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირება. საკრედიტო პროდუქტებზე მზარდი მოტხოვნის და ინტერესის გამო აუცილებელია მოსახლეობას ჰქონდეს ზუსტი და შეუნიღბავი ინფორმაცია საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით. ინფორმაციის უქონლობას შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს მსესხებელს. ნაჩვენებია ის პრობლემები, რომლებიც არსებობს საბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში. მოსახლეობა გაუაზრებლად და გაუცნობიერებლად მიმართავს საბანკო სექტორსა თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კრედიტის მოთხოვნით. წარმოდგენილია მაგალითი თუ რა პრობლემებს აწყდება საბანკო სფერო კლიენტთან მომსახურების დროს. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და განსაზღვრულია ის ამოცანები, რომლებზედაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნდა გამახვილეს ყურადღება. მაგალითებისა და დეტალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხილულია და გაანალიზებულია საკრედიტო ტერმინები და მახასიათებლები. აღწერილია კვლევის საგანი და ობიექტი, ის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობა კვლევა. ჩამოყალიბებულია კვლევის მეცნიერული სიახლე და განსაზღვრულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წინ არის წამოწეული მოსახლეობის ცნობიერების და პროდუქტების ცოდნის ამაღლების საჭიროება,

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ის ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც ნათლადაა ნაჩვენები სტატისტიკური მაჩვენებლები, საბანკო პროდუქტები და ოფიციალური საბანკო მონაცემები.

ნაშრომის პირველი თავის “ბანკის არსი და საბანკო საკრედიტო პროდუქტები” პირველ ქვეთავში “საბანკო სისტემა, სტრუქტურა და პოლიტიკა” მოცემულია - ბანკის წარმოშობის ისტორია, სტრუქტურა და პოლიტიკა. სიტყვა ბანკი წარმოშობილია იტალიური სიტყვისაგან *banco* და ნიშნავს მაგიდას, რომელზეც გადამცვლელები მონეტებს აწყობდნენ. იტალია პირველი ქვეყანა იყო, სადაც საბანკო საქმე აღორძინდა. როგორც

მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების და ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო ბაზარზე ვაჭრობის თავისუფლება და გაჩნდა ისეთი მომსახურებითა თუ სერვისით სარგებლობის აუცილებლობა, რაც ახლაც არსებობს. წარმოდგენილია ბანკის მიზანი და სტრუქტურა.

ნებისმიერი კომპანიის მთავარი მიზანია გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ მისი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება, თუმცა ამ ყველაფერმა უნდა დატოვოს კომპანიისთვის მოგება. თუმცა ამ ყველაფერმა ხელი არ უნდა შეუშალოს ბანკის ნდობის დონეს. სწორედ ამიტომ განხილულია მექრთამეობა და ფულის გათეთრების პოლიტიკა. ნაჩვენებია მაგალითები, რაც შეიძლება ჩაითვალოს ქრთამად და რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ბანკის სახელს.

ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია ბანკთა სია და მათი წმინდა მოგების მაჩვენებელი, ან თუნდაც ზარალი, 2019 წლის მონაცემებით. იქიდან გამომდინარე, რომ საბანკო სფერო არამარტო კრედიტის ან ანაზრის შეთავაზებით არის დაკავებული, დეტალურადაა ნაჩვენები ბანკების სოციალური პასუხისმგებლობა და მიმდინარე პროექტები. ნაჩვენებია საბანკო სფეროს წარმომადგენლების ყველაზე ცნობილი შვილობილი კომპანიები.

ნაშრომის პირველი თავის მეორე ქვეთავში „საბანკო საკრედიტო პროდუქტები, ტერმინები და თავისებურებები“ - ბანკში კრედიტზე ვიზიტისას აუცილებლად გვექნება შეხება ისეთ ტერმინოლოგიასთან, რომელიც ყველა ფიზიკურ პირს არ ეცოდინება. სწორედ ამიტომ განხილულია საბანკო საკრედიტო პროდუქტები, ტერმინები და თავისებურებები. დეტალურადაა ახსნილი ყველა ის 7 ტერმინი, რომელიც შესაძლოა დაგვჭირდეს საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას.

1. სესხის გაცემის (დამტკიცების) საკომისიო

2. სესხის განაღდებას საკომისიო
3. იპოთეკით დატვირთვის ხარჯი
4. დაზღვევები
5. თანამსესხებელი
6. თავდები
7. უზრუნველყოფა

ასევე იმისათვის რომ უკეთ გავერკვეთ საბანკო საკრედიტო პროდუქტების თავისებურებებში, განხილულია თითოეული მათგანის დეტალური მახასიათებლები. ჩამოთვლილია ყველა მიმდინარე საკრედიტო პროდუქტი და მათი მახასიათებლების და მიზნობრიობის მიხედვით ნაჩვენებია, თუ ვის შეუძლია მოცემული პროდუქტებით სარგებლობა და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტის მომთხოვნი პირი. წარმოჩენილია საკრედიტო პროდუქტების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აღსანიშნია ის მომენტი, რომ დროთა განმავლობაში სესხის უამრავი მახასიათებელი იცვლის სახეს და აქციის სახით საძირკველი ეყრება ახალ პროდუქტებს, რომელიც ბანკის მოგებას საგრძნობლად ცვლის.


ნაშრომის მეორე თავის „საბანკო პროდუქტთა თავისებურებები და გატარებული ღონისძიებები“ პირველ ქვეთავში „პროცენტის ტიპები და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ - განხილულია პროცენტის 3 ტიპი: ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, ცვლადი საპროცენტო განაკვეთი და ლიბორის ინდექსზე მიბმული საპროცენტო განაკვეთი. კრედიტის მოცულობა, ვადა და პროცენტი განსხვავდება საჭიროების მიხედვით. რაც უფრო მეტი თანხა სურს კლიენტს მით უფრო დიდია სესხის ვადა. ასევე, რაც უფრო დიდი თანხა სურს კლიენტს, მით ნაკლებია სესხის საპროცენტო განაკვეთი. ეს ფაქტორი იმით აიხსნება, რომ კლიენტს სესხის გამძვირება არარეალურად დიდი თანხა არ დაუჯდეს.

მოსახლეობის უმეტესობას მეტი სტაბილურობისთვის ყოველთვის ურჩევნია კრედიტის აღება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით,

შესაბამისად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთი.

რაც შეეხება ლიბორის საპროცენტო განაკვეთს, ის აღნიშნავს უცხოურ ვალუტაში აღებულ კრედიტს ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. ცვლად საპროცენტო განაკვეთზე (როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში) თვალის დევნება მოსახლეობას თავისუფლად შეუძლია საიტის მეშვეობით, თუმცა წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება შესაძლოა ითქვას შეუძლებელია.

ქვეთავში გრაფიკებია მოცემული თუ როგორ იცვლებოდა საპროცენტო მაჩვენებელი დროთა განმავლობაში და ის თუ რის მიხედვით და რა მაჩვენებლებზე დაყრდნობით იცვლება რეფინანსირების განაკვეთი თუ ლიბორის ინდექსი. ასევე მოცემულია ცვლილების სქემა და მასში მონაწილეები.



რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება (წყარო ეროვნული ბანკის ვებგვერდი, www.nbg.gov.ge)

ფიქსირებული, ცვლადი და ლიბორიანი საპროცენტო განაკვეთების გარდა, ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტში კრედიტის ან ანაზღაურების აღების დროს შეეხება გვაქვს 2 ძირითად მაჩვენებელთან: ნომინალურ საპროცენტო განაკვეთთან და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან. დღესდღეობით

საკმაოდ პოპულარულია „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ და მისი არსი. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება ეფექტურისგან, როდესაც ხდება სესხის აღება დამატებითი ხარჯების გაწევის გათვალისწინებით (გაცემის, განაღდების, დაზღვევის საკომისიო და სხვა).

საპროცენტო განაკვეთებთან ერთად შესწავლილია სესხის და დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა. როდესაც საქმე გვაქვს დეპოზიტებთან ამ შემთხვევაში არსებობს პროცენტის დარიცხვის 2 შესაძლებელი ვარიანტი: მარტივი და რთული. განხილულია თითოეული მათგანი და მაგალითების დახმარებით დეტალურად არის ნაჩვენები თუ რას უნდა მივაქციოთ ყურადღება დეპოზიტის გახსნას ან კრედიტით სარგებლობამდე. აღნიშნულზე ყურადღება გასამახვილებელია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტს ან ანაბარს ვიღებთ უცხოურ ვალუტაში და დიდი ვადით.

მეორე თავის მეორე ქვეთავში „ახალი რეგულაციები და მათი გვერდის ავლის გზების კონტროლი“ - 2018 წელს ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნეოდა ჭარბვალიანობა. ჯამური საფინანსო სექტორიდან სესხების 80% მოდიოდა არასაბანკო სექტორზე. ეს ყველაფერი უმეტესად გამოწვეული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჭარბი ოდენობით და მცირე ასაკიანი და არასტაბილური შემოსავლის მქონე ადამიანების კრედიტებით სარგებლობის დიდი მაჩვენებლით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კრედიტს გასცემდნენ შემოსავლის შესწავლის გარეშე და ისინი ეყრდნობოდნენ მხოლოდ კრედიტ ინფოს რეიტინგს. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები არ შეისწავლიდნენ შემოსავალს და ეყრდნობოდნენ მხოლოდ საკრედიტო ისტორიას, საგრძნობლად გაფუჭდა გადამხდელთა რაოდენობა და გაიზარდა პრობლემური კლიენტების სია.

დროის ცვლილებასთან და ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის გამოსასწორებლად ეროვნული ბანკი აწესებს კანონებსა და წესებს. სწორედ ჭარბვალიანობის პრობლემების მოსაგვარებლად 2018 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, იმისათვის რომ შემცირებულიყო მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების არსებობა და სესხების გაცემა, შემოიღეს რეგულაცია, რომელიც კრძალავდა სესხის გაცემას იმ შემთხვევაში, თუკი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 100%-ზე მეტი.

2019 წლიდან საგრძნობლად შეიცვალა დაკრედიტების სტანდარტი და შემოვიდა უამრავი შეზღუდვა, რომლის დაცვაც აუცილებელია. ამ კრიტერიუმების შემოღებამ გამოიწვია სესხების გაცემის რაოდენობრივი შემცირება. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მსესხებლის გადამხდისუნარიანობა შეფასებულიყო მაქსიმალურად დოკუმენტების დახმარებით და მისი გადამხდელუნარიანობა განესაზღვრა არა მსესხებელს, არამედ ბანკს.

რაც შეეხება საბანკო სფეროში კრედიტების გაცემის შეზღუდვას და ჩარჩოში მოქცევას, განხილულია 2019 წლის რეგულაციები დეტალურად და ნაჩვენებია თუ რა შეიცვალა საბანკო სფეროში. წარმოდგენილია ორი ახალი უმთავრესი კოეფიციენტი - PTI (სესხის მომსახურების კოეფიციენტი) და LTV (სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი). მოცემული პარამეტრების დაცვა დღესაც აუცილებელია. დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული მათგანის მნიშვნელობა და განმარტება:

| ყოველთვიური შემოსავლის მოცულობა ლარში | PTI | | | |
|---------------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| | ჰეჯირებული | | არაჰეჯირებული | |
| | მაქსიმალური ვადა | საკონტრაქტო ვადა | მაქსიმალური ვადა | საკონტრაქტო ვადა |
| | | | | |
| <1000 | 25% | 35% | 20% | 25% |
| <2000 | 35% | 45% | | |
| <4000 | 45% | 55% | 25% | 30% |
| >=4000 | 50% | 60% | 30% | 35% |

PTI კოეფიციენტის ცხრილი (წყარო ეროვნული ბანკის ვებ გვერდი)

მოცემული კოეფიციენტების გარდა წარმოდგენილია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა კრედიტის გაცემისას - მოთხოვნა ქონების

მესაკუთრის მიმართ. დაუშვებელია სესხის გაცემა, თუკი არკმაყოფილდება მოთხოვნები, რაც იცავს ქონების მესაკუთრეს და რისი კონტროლიც აუცილებელია ყველა საფინანსო ინსტიტუტისთვის. მოცემული შეზღუდვების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ მოხდეს ადამიანის უსახლკაროდ დატოვება, რაც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია ბანკებისა თუ კერძო იპოთეკარების დამსახურებით.

| | ლარში გაცემული სესხები | უცხო ვალუტაში გაცემული სესხები |
|--|------------------------|--------------------------------|
| უძრავი ქონება | | |
| საცხოვრებელი ფართი | <= 85% | <= 70% |
| კომერციული ფართი | | |
| საოფისე ფართი | | |
| მიწის ნაკვეთი (მდებარე ქალაქი, დაბა საკურორტო ზონა | <= 80% | <= 70% |
| სპეციფიკური ობიექტი - სხვენი, სარდაფი, ავტოსადგომი | <= 70% | |
| ინდუსტრიული ობიექტი - საწარმო სასაწყობო ფართი | | |
| ქონება მდებარეობს სოფელში ად დაბაში (არა საკურორტო ზონაში) | <= 60% | |

ცხრილი N2 – LTV კოეფიციენტის ცხრილი (წყარო ეროვნული ბანკის ვებ გვერდი)

ქვეთავში ასევე წარმოდგენილია კრედიტის წინსწრების საკომისიოს ახალი განსაზღვრება. თუკი აქამდე წინსწრების საკომისიო განისაზღვრებოდა სტანდარტულად 2%-ით, ამჟამად მას აქვს შემდეგი სახე: ა) თუკი ვადის ბოლომდე დარჩენილია 6-12 თვე, ამ შემთხვევაში წინსწრების საკომისიო იქნება 0.5%. ბ) თუკი ვადის ბოლომდე დარჩენილია 12-24 თვე, ამ შემთხვევაში წინსწრების საკომისიო იქნება 1% გ) თუკი ვადის ბოლომდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, მაშინ წინსწრების საკომისიო იქნება 2%. ეს ყველაფერი გაკეთებულია მოსახლეობისთვის კრედიტის დაფარვის გამარტივების მიზნით.

ნაშრომში წარმოდგენილია უამრავი მაგალითი, თუ როგორ შეუძლია გამოცდილ მსესხებელს ბანკის წარმომადგენლის მოტყუება, ან

ინფორმაციის შენიღბვა, მისთვის სასურველი თანხის ასაღებად. ნაჩვენებია რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით, თუ როგორ ცდილობენ მსესხებლები ბანკის მოტყუებას და რას აკეთებს ბანკი, რომ მოხდეს თავის დაზღვევა და აღნიშნული რისკის გვერდის ავლა. ასევე მოცემულია საბანკო ისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მაგალითები და თავის დაზღვევის საშუალებები.


მეორე თავის მესამე ქვეთავში “გალარების პროგრამა და ღონისძიებების შედეგი” - ჭარბვალიანობას თითქმის ყოველთვის ადგილი ჰქონდა ფიზიკურ პირებში. თანაც ისეთ კატეგორიაში, რომელსაც არ გააჩნდა სტაბილური შემოსავალი. სწორედ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჭარბვალიანობის კონტროლისთვის 2017 წლის იანვარში საქართველოში 2 დიდ კამპანიას ჩაეყარა საფუძველი. 1) 2017 წლის 15 იანვრიდან აიკრძალა ყველა უზრუნველყოფილი თუ არაუზრუნველყოფილი სესხის გაცემა უცხოურ ვალუტაში, თუკი აღნიშნული ლიმიტი არ აღემატებოდა 100 000 ლარს. ანუ თუკი მსესხებელს სურდა ესარგებლა კრედიტით, რომლის ჯამური დავალიანება ლარში არ აღემატებოდა 100 000 ლარს. 2) მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება ასევე შემოიღეს ლარზე მოთხოვნის გასაზრდელად და მოსახლეობის კეთილდღეობის მეტნაკლებად გაუმჯობესებლად, იყო საბანკო სესხების გალარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ფიზიკური პირების დოლარში არსებული უზრუნველყოფილი სესხების გალარებას, რომელიც ბანკსა და კლიენტს შორის ნებაყოფლობით ფორმდება.

უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვის მიზნით, დღემდე აკრძალულია კრედიტის გაცემა უცხოურ ვალუტაში, თუკი სესხის თანხა არ აღემატება 200 000 ლარს.

ასევე ლარზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით, ნაშრომში დეტალურად არის წარმოდგენილი გალარების პროგრამა, მისი არსი, დანიშნულება და მიზანი. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია თუ რა სახსრები იყო გამოყოფილი ამისთვის და რამდენ მსესხებელს შეეძლო

პროგრამით სარგებლობა. ასევე ოფიციალური მონაცემებია წარმოდგენილი, თუ რამდენმა ადამიანმა მიიღო პროგრამაში მონაწილეობა. ასევე ინსტრუქცია, თუ ვის შეეძლო ესარგებლა აღნიშნული პროდუქტით და როგორ უნდა ესარგებლა. ზუსტი ინფორმაცია არის გადმოცემული, თუ რა პროცედურების გავლა იყო საჭირო და ასევე რა მოლოდინი იყო და რა შედეგი მივიღეთ.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილი თვლიდა, რომ ახალი საბანკო რეგულაციები გამოიწვევდა ბაზრიდან უამრავი საფინანსო ინსტიტუტის და მათ შორის რამდენიმე ბანკის გადევნას, რეალურად ეს შედეგი არ დადგა და საკმაოდ მცირე პერიოდში მოსახლეობაც და საბანკო სფეროც მოერგო ახალ რეგულაციებს. 2019 წლის იანვრამდე მოხდა მოთხოვნის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული იყო მომავალი რეგულაციების შიშით. მოსახლეობა იღებდა კრედიტს, საჭიროების გარეშე, რამაც გამოიწვია შემდეგ პერიოდში მოთხოვნის მკვეთრი შემცირება. თუმცა მდგომარეობა საკმაოდ მალე დასტაბილურდა და საკრედიტო პროდუქტებზე მოთხოვნა ჩვეულ ზრდას განაგრძობს.



სამომხმარებლო სესხების მოცულობა რეგულაციებამდე და მის შემდეგ (წყარო ეროვნული ბანკის ვებ გვერდი)

მონაცემების თანახმად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალმა საბანკო რეგულაციებმა კი არ შეუშალეს ხელი საბანკო სექტორის ფუნქციონირებას,

არამედ შეცვალეს და უფრო უსაფრთხო და სამართლიანი გახადეს მოსახლეობისთვის.

| პროდუქტი | 2018 დეკემბერი | | 2019 დეკემბერი | | ცვლილება% | ცვლილება მლნ ლარი |
|--------------------------|----------------|------|----------------|------|-----------|-------------------|
| | მლნ ლარი | წილი | მლნ ლარი | წილი | | |
| საჯალო პროდუქტები | 11 010 | 100% | 11 673 | 100% | 6% | 663 |
| ავტო სესხი | 76 | 1% | 102 | 1% | 33.8% | 26 |
| სამომხმარებლო | 4 062 | 37% | 4 142 | 35% | 2% | 80 |
| განვადება | 329 | 3% | 193 | 2% | -41.4% | -136 |
| ოვერდრაფტი | 74 | 1% | 57 | 0% | -22.8% | -17 |
| საკრედიტო ბარათი | 554 | 5% | 458 | 4% | -17.4% | -97 |
| სესხი ბინის რემონტისთვის | 470 | 4% | 500 | 4% | 6.5% | 30 |
| იპოთეკური | 5 444 | 49% | 6 221 | 53% | 14.3% | 777 |


ცხრილი 3 - ჯამური სესხების მოცულობა რეგულაციებამდე და მას შემდეგ (წყარო ეროვნული ბანკის ვებ გვერდი)

მესამე თავის „მიმდინარე მდგომარეობა და თანამედროვე მიდგომები პროდუქტის სრულყოფის მიზნით“ პირველ ქვეთავში, „საბანკო დაკრედიტების რეგულაციები კორონომიკის პირობებში“ - საფინანსო და საბანკო სფეროში საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა 2020 წლის 26 თებერვლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც დადასტურდა პირველი კორონავირუსით ინფიცირებულის შემთხვევა საქართველოში. ქვეყანაში არსებული გაურკვეველი მდგომარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მალე ბანკებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეზღუდულიყო ისეთი საქმიანობების დაფინანსება, რაც თავის თავში გულისხმობდა საჭირო პროდუქტის საზღვარგარეთიდან გამოწერას. იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის შედეგად ჩაიკეტა ქვეყნის საზღვრები, მნიშვნელოვანი დანაკარგი ნახა ტურისტულმა კომპანიებმა და იმ დაწესებულებებმა, რომლებიც ტურისტებზე იყო გათვლილი (სასტუმრო, ბარი, რესტორანი...).

მესამე თავის პირველ ქვეთავში დეტალურადაა ნაჩვენები დღევანდელი კრიზისული მდგომარეობა. ქვეყნის მოსახლეობის ქცევის

ცვლილება, მოთხოვნილებების მკვეთრი შემცირება ფუფუნების საგნებზე. მოსახლეობის გადინება ქალაქგარეთ.

წარმოდგენილია კორონავირუსის ზემოქმედების შედეგად არსებულ ეკონომიკაში საბანკო დაკრედიტების ცვლილებები და ეროვნული ბანკისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები. წარმოდგენილია ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და აღნიშნული პროცესების გავლენა ეროვნული ბანკის კურსზე.



ვალუტის კურსი კორონომიკის პირობებში (წყარო ეროვნული ბანკის ვებ გვერდი)

არსებული მდგომარეობის ფონზე, სახელმწიფო მთავრობამ საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა საკრედიტო პროდუქტზე, იქნებოდა ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირის, მომხდარიყო 3 თვიანი გადავადება. აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდა 13 მარტიდან და ეხებოდა როგორც სესხის ძირს, ასევე პროცენტს. ქვეთავში ასევე დეტალურად არის აღწერილი საბანკო სექტორების მიერ მომხმარებლისთვის შემოღებული 3 თვიანი საშეღავათო პერიოდი და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ზუსტად არის განხილული პროდუქტის გაძვირება გადავადებით სარგებლობის შემთხვევაში, რადგან მოსახლეობის უმეტესობა ფლობდა არასწორ ინფორმაცია გადავადებასთან დაკავშირებული ხარჯების და გაძვირების შესახებ.

მესამე თავის მეორე ქვეთავში „განახლებული რეგულაციები და მათი ზეგავლენა საკრედიტო პროდუქტებზე“ - 2020 წლის 15 აპრილს, როდესაც მსოფლიო პანდემიის - კორონავირუსის შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ საკმაოდ დიდი ზარალი ნახა, მთავრობისა და ეროვნული ბანკის საერთო გადაწყვეტილებით გამარტივდა საბანკო რეგულაციების შეზღუდვები. კრიზისულ პერიოდში საბანკო სფეროებში კრედიტის გაცემა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. გამარტივებული რეგულაციების მიზანი იყო გაზრდილიყო სესხის გაცემა. მარტივებული სქემის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სესხის მომსახურების კოეფიციენტმა - PTI კოეფიციენტმა. ამჟამად ცვრილი გამოიყურება შემდეგნაირად:

| ყოველთვიური შემოსავლის მოცულობა ლარში | ყოველთვიურად დასაფარი თანხა*/შემოსავალი (PTI%) | | | |
|---------------------------------------|--|-------------------------|---|------------------------|
| | სესხი გაიცემა ლარში ან უცხოური ვალუტა, თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია (ჰეჯირებული) | | სესხი გაიცემა უცხოურ ვალუტაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემოსავალიც იმავე ვალუტაშია (არაჰეჯირებული) | |
| | საკონტრაქტო ვადიანობაზე | მაქსიმალურ ვადიანობაზე* | საკონტრაქტო ვადიანობაზე | მაქსიმალურ ვადიანობაზე |
| < 1,000 | 35% | 25% | 30% | 20% |
| < 2,000 | 45% | 50% | 40% | 30% |
| < 4,000 | 55% | | 50% | |
| >= 4,000 | 60% | | 55% | |

განახლებული PTI კოეფიციენტი

(წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდი. [www. Nbg.gov.ge](http://www.Nbg.gov.ge))

ნაჩვენებია კორონომიკის პირობებში შეცვლილი რეგულაციები და გამარტივებული მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია მსესხებლის მიერ.

ასევე საბანკო სფეროს ხელშეწყობისა და სამშენებლო კომპანიების გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო სუბსიდიას. აღნიშნული ითვალისწინებდა, დევლოპერი კომპანიიდან უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში სახელმწიფოს თანამონაწილეობას კრედიტის დაფარვაში. სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს კრედიტის საპროცენტო განაკვეთის წილს, მაქსიმუმ 4%-ის ოდენობით. პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი სუბსიდიის შესახებ ინფორმაცია, მისი წესი და მოქმედების პერიოდი.

მესამე თავის მესამე ქვეთავში „საკრედიტო პროდუქტების სრულყოფის გზები“ - დღითიდღე უფრო და უფრო მეტი თანხა გაიცემა სესხის სახით. მოსახლეობის უმეტესობა საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ბანკის დახმარებით, თუმცა ხდება ბანკის ზოგიერთი პროდუქტის გაუქმება, რადგან ის ვეღარ ერგება დღევანდელ საჭიროებებს. მომხმარებელთა უმრავლესობა ბანკის ფილიალში მისვლის ნაცვლად უკვე სარგებლობს ინტერნეტ ბანკით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატით, რაც ზოგავს მის დროსა და ენერგიას, რომლის დეფიციტსაც განიცდის თანამედროვე თაობა. მოვა დრო, როდესაც ბანკი დღევანდელ სახეს დაკარგავს, აღარ იქნება არც ამ რაოდენობით თანამშრომელი და ფილიალი და იქნება მხოლოდ რამდენიმე სერვისცენტრი, რომელშიც მოხდება ინფორმაციის დამუშავება. ქვეთავში მოცემულია საკრედიტო პროდუქტების სრულყოფის გზები და რეკომენდაციები.

ნაჩვენებია ერთ-ერთი ბანკის მაგალითი მომსახურებასთან დაკავშირებით. დღევანდელ მდგომარეობაში უმრავლესობის მთავარი საზრუნავი და პრიორიტეტული არის ის, რომ შეასრულოს რაც შეიძლება მეტი ოპერაცია სახლიდან გაუსვლელად და უმოკლეს დროში. სწორედ ამიტომ განხილული ასრულიად ახალი ნეობანკის მუშაობის სტილი, მისი საჭიროება და უპირატესობები.

წარმოდგენილია რეკომენდაცია იპოთეკური სესხის დამტკიცებასა და გაცემასთან დაკავშირებით. დღესდღეობით ბანკებში ერთ-ერთი დიდი

არაკომფორტულობის: იპოთეკით დატვირთვა, იპოთეკის მოხსნის, ნასყიდობის პროცესის გამარტივებით.

ასევე ნაჩვენებია სესხის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის დღევანდელი მიდგომა და მისი შეცვლის შესაძლებლობა. სტატუს კლიენტების არასწორი პრივილეგიის მინიჭებით, საპროცენტო განაკვეთის დადგენაზე არასწორი მიდგომა. რეკომენდაციაა წარმოდგენილი საკრედიტო ბარათის დამტკიცების შემთხვევაში მისი სასურველ ადგილზე მიწოდების შესახებ, რაც საკმაოდ ინოვაციური და საჭირო სერვისი იქნება მომავალში. საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას დროის უქონლობის გამო ხელშეკრულების დისტანციურად დადასტურების უპირატესობა და სხვა.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის - „საბანკო საკრედიტო პროდუქტების თავისებურებები და მათი სრულყოფის მიმართულებები“ შესაძლებლობა გვაქვს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- პირველი და ყველაზე საყურადღებო არის ის, რომ სანამ ბანკს მივმართავთ, ყველანაირი ინფორმაციის მოძიებაა საჭირო სწორი პროდუქტის ასარჩევად.
- საბანკო სისტემას აქვს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელსაც გააჩნია უამრავი სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, ის არის ძლიერი მაკონტროლებული ორგანო, რომლის მიზანიცაა როგორც ბანკის, ასევე მომხმარებლის ინტერესების დაცვა. დროის და ფაქტორების ცვლილების შედეგად ეროვნული ბანკი და მთავრობა ყოველთვის მიმართავს მდგომარეობის გამოსწორების ახალ გზებსა და ხერხებს.
- ახალი რეგულაციების მიმართ პესიმისტური დამოკიდებულების მიუხედავად თვალნათლივ ჩანს, რომ მდგომარეობა არ გაუარესებულა და მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გაამართლა.

- პროდუქტის სრულყოფის მხრივ პირველი ადგილი უკავია იმ ადამიანთა აზრს, რომლებიც ყოველდღიურად სარგებლობენ ამა თუ იმ მომსახურებით.
- თითოეული საკრედიტო პროდუქტის სრულყოფისა და განვითარებისთვის მთავრობა ეროვნულ ბაკთან ერთად ყოველთვის ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, პროდუქტის წინ წაწევისა და მხარდაჭერისათვის. ამას მოწმობს ახალი რეგულაციების შემოღება, გაღარების პროგრამა, იპოთეკური სესხის სუბსიდირება და სხვა.
- ფილიალის და შესაბამისად სს “თიბისი ბანკის“ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 18-30 წლის მოსახლეობა სარგებლობს სასწრაფო სესხით, სწრაფი სამომხმარებლო სესხით, განვადებით და საკრედიტო ბარათით, რასაც სჭირდება მცირე შემოსავალი და არის პატარა თანხიანი, შესაბამისად მათი დაფარვა მარტივია. რაც შეეხება იპოთეკურ სესხს, ბიზნეს სესხს და სხვა, აღნიშნულს სჭირდება დიდი შემოსავალი და თანხაც საკმაოდ დიდია, რასაც დიდი შემოსავალი და დრო სჭირდება. შესაბამისად აღნიშნული სესხების დასაფარად აუცილებელია დიდი შემოსავალი და გააზრებული მიზნობრიობა, რაც დაბალასაკიანი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს.

ნაშრომში რეკომენდაციების სახით ჩამოყალიბებულია შემდეგი წინადადებები:

- საბანკო დაწესებულებების მთავარი მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ დიდი მოგების მიღება, არამედ მომხმარებლებზე ორიენტაცია. პირველი რაც თანამშრომლის მხრიდან მომხმარებელზე ორიენტაციას უშლის ხელს, არის მისი დიდი სამუშაო გეგმა. თანამშრომლის შესასრულებელი გეგმა უნდა იყოს ისე შედგენილი, რომ ის იძულებული არ უნდა იყოს ფილიალში შემოსულ მომხმარებელს განზრახ გაუკეთოს ის პროდუქტი და გადაახდევინოს თანხა, რაც მას არ სჭირდება. სწორედ დიდი გეგმა არის ის გამომწვევი ფაქტორი, რის გამოც მომხმარებელს მიეწოდება არასაჭირო პროდუქტი. ეს ყველაფერი იწვევს მოსახლეობის დაზარალებას.

- აუცილებელია ყველა მომხმარებელზე მაქსიმალურად მიახლოებული პირობების შეთავაზება, სახელმწიფოს მხრიდან კი - მსესხებლების მაქსიმალური ხელშეწყობა და პროდუქტის წინწაწევა, რასაც მოწმობს ბოლოდროინდელი იპოთეკური სესხების სუბსიდირებაც.
- საბანკო სფეროს იდეალური ფუნქციონირებისთვის ასევე აუცილებელია სტაბილური ეკონომიკური გარემო. ადამიანს არ უნდა ეშინოდეს კრედიტის აღება იმ მიზეზის გამო, რომ მდგომარეობა არის არასტაბილური და შესაძლოა რამდენიმე წელში ან თუნდაც თვეში ეკონომიკა ისე შეიცვალოს, რომ მას არ შეეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი თემატური სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – საქართველოს საბანკო სისტემა, ეკონომიკის მდგრადი განვითარების გარანტი
2. კოლოკვიუმი 2 – საბანკო საკრედიტო პროდუქტები, თავისებურებები და მათი სრულყოფის გზები

გამოქვეყნებული სტატიები:

1. სესხის ტიპები და რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების გავლენა ცვლად პროცენტთან სესხებზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N1, თბ., 2020, გვ. 125-133;
2. მექრთამეობა და ფულის გათეთრების პრობლემა საბანკო სისტემებში. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N1, თბ., 2020, გვ. 172-182;
3. დაკრედიტების პროცესში რეგულაციები და მათი გვერდის ავლის გზების კონტროლი. ჟურნალი „ეკონომიკა“, N 3-5, თბ., 2020, გვ. 75-83.

კონფერენციები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ -

საბანკო დაკრედიტების რეგულაციები კორონომიკის პირობებში, სტუ თბ.,
2020, 26 ივნისი.